სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

8 04 2015 წ. № 78 ქ. თბილისი

„21-ე საუკუნის ქართული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სცენარის შესაქმნელად კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 10.02.2015 წლის №28 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. „21-ე საუკუნის ქართული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სცენარის შესაქმნელად კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 10.02.2015 წლის №28 ბრძანებით დამტკიცებულ საკონკურსო პირობებში, შეიცვალოს პროექტების მიღების ბოლო ვადა და განისაზღვროს შემდეგი ფორმულირებით: „2015 წლის 10 თებერვალს ცხადდება კონკურსი 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სცენარის შესაქმნელად, განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 1 ივნისი."
2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი ნ. ჯანელიძე